ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, ს.კ. 01.72.14.040.179; ს.კ. 01.72.14.004.178; სკოლის პროექტის მშენებლობისათვის გამოყოფილი უბნის საინჟინრო-გეოლოგიური პირობები



თბილისი 2025 წელი

ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, ს.კ. 01.72.14.040.179; ს.კ. 01.72.14.004.178; სკოლის პროექტის მშენებლობისათვის გამოყოფილი უბნის საინჟინრო-გეოლოგიური პირობები

ინდივიდუალური მეწარმე
“ზ. დევდარიანი” ზ. დევდარიანი

ინჟინერ გეოლოგი ზ. დევდარიანი

Zurab Devdariani 01001093675
Digitally signed by Zurab Devdariani
Date: 2025.11.06 23:12:34

სარჩევი

№	მასალების დასახელება	ფურცელი №№
1	2	3
	I ტექსტური ნაწილი	
1.	ტექნიკური დავალება	1 ფურცელი
2.	საინჟინრო-გეოლოგიური ანგარიში (დასკვნა)	16 ფურცელი
	II ტექსტური ნაწილის დანართი	
3.	თიხოვანი გრუნტის ლაბორატორიული კვლევების შედეგების სამუშაო ანგარიში (დანართი №1; №2)	6 ფურცელი
4.	ფოტომასალა - 8 სურათი	8 ფურცელი
	III გრაფიკული ნაწილი	
5.	საკვლევი უბნის ტოპოგეგმა მასშტაბით 1:500-თან, გეოლოგიური გამონამუშევრების და ჭრილის ხაზის დატანით	1 ფურცელი
6.	გეოლოგიური გამონამუშევრების სვეტების ლითოლოგიურ-გეოლოგიური ჭრილები	2 ფურცელი
7.	საკვლევი უბნის განივი და გრძივი საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილები	3 ფურცელი

ტექნიკური დავალება
საინჟინრო გეოლოგიური კვლევების ჩასატარებლად

ობიექტის დასახელება –სკოლის პროექტი.

დამკვეთი – შპს „კალა ინვესტმენტი“

ობიექტის მდებარეობა –ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, ს.კ. 01.72.14.040.179; ს.კ. 01.72.14.004.178;

დაპროექტების სტადია –მუშა დოკუმენტაცია;

მშენებლობის ტიპი – ახალი მშენებლობა;

შენობის კლასი – პასუხისმგებლობის მიხედვით –II კლასი.

ობიექტის ტექნიკური დახასიათება:

პროექტით გათვალისწინებულია: 3-4 სართულიანი შენობის აშენება, ზომები მიახლოებით: 72.0 X 18.0 მ.

შენობა-ნაგებობების ტიპი – რ/ბეტონის ჩონჩხედი, ბლოკის ან აგურის შემავსებლით;

საძირკვლები – ფილა ან წერტილოვანი ცალკემდგომ საყრდენებზე;

საძირკვლების ჩაღრმავება - დადგინდება გეოლოგიური სამუშაოების დასრულების შემდგომ.

საძირკვლების მასალა – რ/ბეტონი;

დატვირთვა საძირკვლებზე – 2500 კნ-მდე.

საინჟინრო გეოლოგიური კვლევების დოკუმენტაცია გადმოგვეცეს აკინძული, 2 ეგზემპლიარად, ელექტრონულ ვერსიასთან ერთად.

დანართი: საკვლევი უბნის ტოპო-გეგმა მასშტაბით 1:500-თან.

დავალება გასცა:

ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, ს.კ. 01.72.14.040.179; ს.კ. 01.72.14.004.178; სკოლის პროექტის მშენებლობისათვის გამოყოფილი უბნის საინჟინრო-გეოლოგიური პირობები

<u>I შესავალი</u> – შპს "კალა ინვესტმენტი"-ს დავალებით, ინდივიდუალური მეწარმე "ზ. დევდარიან"-მა, 2025 წლის 23-24 ოქტომბერს, ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, ს.კ. 01.72.14.040.179; ს.კ. 01.72.14.004.178; სკოლის პროექტის მშენებლობისათვის გამოყოფილ უბანზე ჩაატარა საინჟინრო გეოლოგიური კვლევა.

კვლევის მიზანი:

- საკვლევი უბნის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების შესწავლა;
- დასაპროექტებელი შენობა-ნაგებობის დაფუძვნების საკითხის გადაწყვეტა.

დასაპროექტებელი შენობა ნაგებობის ტექნიკური მახასიათებლები მოცემულია თანდართულ ტექნიკურ დავალებაში.

დასახული მიზნების მისაღწევად ჩატარებული იქნა შემდეგი სახის საინჟინრო გეოლოგიური კვლევები:

- მოპოვებული და შესწავლილი იქნა ხელთარსებული საფონდო მასალები;
- საკვლევი უბნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების შესწავლის მიზნით, მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების ს.ნ და წ 1.02.07-87 და პ.ნ 02.01-08 მოთხოვნათა გათვალისწინებით, დასაპროექტებელი სკოლის შენობის დასმის ადგილას, თვითმავალი საბურღი დანადგარით, მექანიკური სვეტური ბურღვის მეთოდით, დიამეტრით 160 მმ-მდე, მშრალი წესით, კერნის უწყვეტი ამოღებით, შემოკლებული რეისებით გაბურღული იქნა 4 ჭაბურღილი (№№1-4), სიღრმით, 12.0 გრძივი მეტრი თითოეული, საერთო მეტრაჟით 48.0 გრძივი მეტრი.

საველე სამუშაოების დამთავრების შემდეგ ჭაბურღილები ლიკვიდირებულია განაბურღი გრუნტით.

- ლაბორატორიული შესწავლისათვის, ჭაბურღილებიდან, სხვადასხვა სიღრმიდან აღებულია გრუნტის დაურღვეველი სტრუქტურის 5 ნიმუში (მონოლითი), მონოლითი საკვლევ უბანზე გავრცელებულ თიხოვან გრუნტიდან, რომლის კვლევის შედეგები თან ერთვის წინამდებარე დასკვნას (ანგარიშს) გრუნტების ლაბორატორიული კვლევების შედეგების კრებსითი ცხრილების სახით.

გრუნტების ლაბორატორიული კვლევები ჩატარდა შპს "გეოინი"-ის გრუნტების ლაბორატორიაში, ნ. ხმელიძის ხელმძღვანელობით და შპს გეოლოგიური სამსახურის გეოტექნიკურ ლაბორატორიაში, ნ. სადრაძის ხელმძღვანელობით.

შემდეგი სნ და წ და სტანდარტების მიხედვით:

- ფიზიკური თვისებები - სტანდარტი 51.80-84;
- სიმტკიცის მახასიათებლები - სტანდარტი 12.248-78
- დეფორმაციის მახასიათებლები - სტანდარტი 23.408-79
- გრუნტის კლასიფიკაცია - სტანდარტი 25.100-82
- გრუნტის საანგარიშო წინაღობა R_oსნ და წ (პნ 02.01-08)
- ექსპერიმენტული მონაცემების დამუშავება ვარიაციული სტატისტიკის მეთოდებით - სტანდარტი 20.522.75.

ტოპოგეგმად გამოყენებულია დამკვეთის მიერ გადმოცემული ტოპო გეგმა, მასშტაბით 1:500-თან.

საველე სამუშაოები ჩაატარა და წინამდებარე დასკვნა შეადგინა ინჟინერ გეოლოგმა ზ. დევდარიანმა.

II- საინჟინრო გეოლოგიური შესწავლილობა

საკვლევი ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების შესახებ ინფორმაციული მასალა არსებობს, როგორც საქართველოს ფარგლებში ჩატარებული რეგიონალური ხასიათის 1:200 000 მასშტაბის კვლევების, ასევე საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების სახით. საკვლევი ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების შესახებ ინფორმაცია მოცემულია მდ. მტკვრის ხეობაში 1985-1990 წლებში ჩატარებული 1:25000 მასშტაბის სპეციალურ ანგარიშში (ა. ცაგურიშვილი და სხვები, 1990 წ).

ქ. თბილისისათვის თანამედროვე გეოლოგიური პროცესების გავრცელება, ფორმირების პირობები და დინამიკა განხილულია ალ. ჯანელიძის შრომაში: „თბილისის მეწყერები და მეწყერული მოვლენების მნიშვნელობა“ 1949 წ.

სხვადასხვა დროის ოროგენეტიკურ მოძრაობების შესწავლას მიეძღვნა ალ. თვალჭრელიძის ნაშრომი „თბილისის მიდამოების ნაოჭები“ 1949 წ.

თბილისის ტერიტორიის დეტალური საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების შედეგები განზოგადოებული აქვს პროფ. გ. ჯაფარიძეს ნაშრომში: „თბილისის საინჟინრო გეოლოგია“ 1974 წ.

გეოლოგიური აგეგმვითი სამუშაოები 1:50000 მასშტაბში აღმოსავლეთ საქართველოში (ლიხის ქედამდე), ჩატარებულია 1985-1900 წლებში (მ. გამყრელიძე, თ. კოპაძე). ასევე უფრო ადრე ქართლის დეპრესიის გეოლოგიური აგებულების შესახებ საკითხები განხილულია ა. ჯანელიძის შრომაში (1970 წ).

ჰიდროლოგიური კვლევები ჩატარებულია გასული საუკუნის 70-იან და 80-იან წლებში (ი. ბუაჩიძე, დ. კაჭარავა, გ. ჩხაიძე და სხვები). ასევე გასული საუკუნის 80-იან წლებში განხორციელდა კვლევები და გამოიცა 1:200 000 მასშტაბის სახელმწიფო ჰიდროგეოლოგიური რუკა (ლ. ხარატიშვილი, ლ. ვარატინცევა), რომელშიდაც მოქცეულია საკვლევი ტერიტორია.

გეომორფოლოგიური კვლევები ჩატარებული აქვს ლ. მარუაშვილს (1971 წელი), დ. წერეთელს (1886 წელი) და სხვებს. აღნიშნულ კვლევებში დეტალურადაა განხილული საკვლევი ტერიტორიის გეომორფოლოგიური ბუნება და რელიეფის ტიპები.

III- კლიმატი

სამშენებლო მოედნის კლიმატური პირობების შეფასებისათვის გამოყენებულია მეტეოსადგურების მონაცემები და მოყვანილი იქნება საინჟინრო გეოლოგიური ანგარიშის დასკვნით ნაწილში.

IV-ჰიდროგრაფია, გეომორფოლოგია, ტექტონიკა, გეოლოგიური აგებულება და ჰიდროგეოლოგია

რაიონის მთავარი ჰიდროგრაფიული ერთეულია მდინარე მტკვარი. ქსელის ხასიათის მიხედვით თბილისის მიდამოები ორ ნაწილად შეიძლება დაიყოს: მარჯვენანაპირეთში ჰიდროგრაფიული ქსელი უფრო ხშირია, ვიდრე მარცხენანაპირეთში, მდინარეებს ვიწრო ხეობები, მეტი ვარდნა და დახრილობა აქვთ.

მტკვარი შერეული საზრდოობის მდინარეა, იკვებება ატმოსფერული ნალექებით და მიწისქვეშა წყლებით. წყალდიდობა ახასიათებს გაზაფხულზე და ზაფხულის დასაწყისში. შემოდგომაზე ხანდახან წყალმოვარდნა იცის. ივლის-აგვისტოში წყალმცირობაა, მდგრადი წყალმცირობა კი ზამთარში იცის.

თბილისის მიდამოებში მტკვარს რამდენიმე შენაკადი აქვს. მარჯვენა შენაკადებიდან მთავარია მდ. ვერე და დიღმისწყალი, ხოლო მარცხენა შენაკადიდან მდ. გლდანულა.

თბილისი და მისი მიდამოები გამოირჩევა ლანდშაფტების მრავალფეროვნებით, რაც განპირობებულია მისი ბუნებრივი კომპლექსების განსხვავებული ფიზიკურ-გეოგრაფიული რეგიონის მიჯნაზე მდებარეობით.

ამან გამოიწვია ლანდშაფტის ნაირგვარობა, რომელიც გამოიხატა ორი ძირითადი ტიპის და ერთი ქვეტიპის გავრცელებაში. თბილისის მიდამოების ვაკიან და გორაკ-ბორცვიან ნაწილში ჩამოყალიბებულია აღმოსავლეთ საქართველოს სტეპებისათვის დამახასიათებელი, ხოლო დასავლეთით და ჩრდილო-დასავლეთით მთიან ნაწილში მთა-ტყის ლანდშაფტები, რომლებიც სიმაღლებრივ ზონებს ქმნიან.

თბილისი და მისი მიდამოები საკმაოდ რთული მორფოლოგიური (ტექტონიკური, ლითოლოგიური) აგებულებისაა. მან განიცადა როგორც ძველი, ისე თანამედროვე ეროზიულ-დენუდაციური და აკუმულაციური პროცესების ინტენსიური ზემოქმედება. ამის შედეგად რელიეფი ნაირგვაროვანია.

ყურადღებას იქცევს თბილისის მიდამოების მარჯვენანაპირეთსა და მარცხენა ნაპირეთს შორის არსებული მნიშვნელოვანი განსხვავებანი. მარჯვენანაპირეთის შემოგარენი უფრო მაღლა მდებარეობს, უმეტესი ნაწილი მთაგორიანია. რელიეფი ძირითადად წარმოდგენილია თრიალეთის ქედის ანტიკლინური განშტოებებით და მათ შორის მოქცეული სინკლინური ხევ-ხეობებით, რომელიც უფრო ციცაბოა და ძლიერ არის დაღარული მდინარეთა ხეობებით და ხრამებით.

მარცხენაპირეთის შემოგარენი უფრო დაბალია, უმეტესად ჩამოყალიბებულია გორაკ-ბორცვანი რელიეფი, რომლებიც მდინარეებით ნაკლებად არის დაღარული.

საქართველოს ტექტონიკური დარაიონების (ე. გამყრელიძე, 2000 წ) მიხედვით საკვლევი ტერიტორია მიეკუთვნება აჭარა-თრიალეთის ნაოჭა სისტემის თბილისი-მანგლისის ქვეზონას. იგი წარმოადგენს აჭარა-თრიალეთის ნაოჭა სისტემის აღმოსავლეთ დაბოლოებას. ძირითადად აგებულია ზედა ეოცენის და ოლიგოცენის ტერიგენული ნალექებით. მათი სიმძლავრე 500 მ-მდეა. შუა ეოცენის, ქვედა ეოცენ-პალეოცენის და ზედა ცარცული ასაკის ნალექებს აქ ძირითადად მცირე სიმძლავრეები გააჩნია.

თბილისი და მისი შემოგარენი აგებულია მესამეულ ასაკის ტერიგენული და ტუფოგენურ ქანებით. მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მეოთხეული (მდინარეულ და ტბურ) ნალექებს.

მარჯვენა ნაპირეთში ვრცელი ფართობი უჭირავს ზედა ეოცენურ დანალექებს, რომლებიც წარმოდგენილია თაბაშირიანი თიხებითა და ქვიშაქვებით. აქ დანალექი ქანებით არის აგებული მთლიანად მდინარეების დიღმისწყლისა და ვერეს აუზები. იგივე ნალექებია გავრცელებული კოდა-წალასყურის მიდამოებში.

ქალაქის მიდამოების სამხრეთ ნაწილში რელიეფის აგებულებაში მონაწილეობს შუა ეოცენური ტუფოგენური დანალექები, უხეშშრეებრივი და მასიური ანდეზიტური ტუფობრექჩიები (ანდეზიტური საფრით), კერძოდ ისინი აგებენ თელეთის, თაბორის და სოლოლაკის ქედებს. თელეთის და თაბორის ქედების ნაოჭები მტკვრის მარცხენა მხარეზე გადადიან, მაგრამ იქ იძირებიან და ტუფოგენური წყება ზემოდან დაფარულია თიხებით, ფიქლებითა და ქვიშაქვებით.

თბილისის და მის მიდამოებში ფართოდ არის გავრცელებული მეოთხეული ალუვიური, დელუვიური, დელუვიურ-პროლივიური და ტბიური ნალექები. ალუვიონი წარმოდგენილია მდ. მტკვრის გაყოლებით და ისინი ტერასებს ქმნიან. დელუვიური და დელუვიურ-პროლივიური ნალექები, რომლებიც მეტწილად თიხნარების, თიხების და ლაოსისებრი თიხებისაგან შედგება, გავრცელებულია მდინარე მტკვრის ორივე ნაპირეთში და სხვადასხვა სიმძლავრისაა. ტბიური ნალექები განვითარებული კუმისისა და ლისის ტბის ქვაბულში, აგრეთვე გავრცელებულია ზოოპარკისა და აკადემქალაქის ტერიტორიაზე.

თბილისისა და მის მიდამოებს რელიეფისათვის დამახასიათებელია მეწყერული მოვლენები. ისინი ძირითადად განვითარებულია თრიალეთის ქედის აღმოსავლეთ შტო-ქედებზე. თბილისის მეწყრები და მეწყერული პროცესები შესწავლილი აქვს აკად. ალ. თვალჭრელიძეს.

საქართველოს ტერიტორიის ჰიდროგეოლოგიური დარაიონების სქემის მიხედვით (აკად. ბუაჩიძე), საკვლევი ტერიტორია შედის თბილისის წნევიან, ნაპრალოვან და ნაპრალოვანიკარსტული წყლების სისტემაში.

ქ. თბილისის ტერიტორიაზე გამოიყოფა სამი ტიპის გრუნტის წყლები:

- მეოთხეული ასაკის გრუნტის წყლები;
- ზედა ეოცენური ასაკის ნაპრალური ცივი წყლები;

❖ შუა ეოცენური ასაკის ნაპრალური თერმული წყლები.

გრუნტის წყლები განვითარებულია გაშიშვლებული ქანების ელუვიურ ზონაში. წყაროების დებიტით გამოირჩევიან ზედა ცარცული ასაკის კარბონატული ქანების წყლები. გრუნტის წყლებს, ზედა ეოცენის ქვიშოვან-თიხოვანი ჰორიზონტების გამოკლებით, გააჩნიათ სუსტი მინერალიზაცია და ჰიდროკარბონატულ კალციუმიანი ან ნატრიუმიანი შემადგენლობა. გრუნტის ფოროვანი წყლები გავრცელებულია ალუვიურ ქვიშოვან-თიხოვან ნალექებში მდ. მტკვრის ჭალაში და მის დაბალ ტერასებზე. ისინი ხასიათდებიან კარგი სასმელი თვისებებით და საკმაოდ დიდი დებიტით.

შუა ეოცენის ვულკანურ-დანალექი ქანების შრეებთან დაკავშირებულია თერმული წყლების გამოვლინებები. ისინი ანტიკლინის თაღურ ნაწილთან არიან კავშირში. თბილისის რაიონში 10 კმ^2-ის ფართობის ტერიტორიაზე გამოვლინებულია თერმული წყლების საბადო საერთო დებიტით 47 ლ/წმ-ში. აქ გავრცელებულია ჰიდროკარბონატულ-ქლორიდულ-ნატრიუმიანი წყლები საერთო მინერალიზაციით 0.7 გ/ლ-მდე. ამ წყლების ტემპერატურა 50 გრადუსამდე აღწევს. აუზის ჩრდილო და სამხრეთ ნაწილში გაშიშვლებული ზედა ცარცული ასაკის კარბონატული ნალექები შეიცავენ ნაპრალოვან და ნაპრალოვან-კარსტულ სხვადასხვა მინერალიზაციის წყლებს.

რაიონის ჩრდილოეთ პერიფერიებში, მტკვრისა და იორის შუამდინარეთში, შუა მიოცენის ნალექებთან დაკავშირებულია შედარებით მცირე ფოროვანი და ფოროვან-ნაპრალოვანი მაღალი მინერალიზაციის მეთან-იოდ-ბრომიანი ქლორიდულ-ნატრიუმიანი წყლების გამოვლინებები.

წყალდაწნევითი სისტემის აღმოსავლეთ ნაწილში, ზედა პლიოცენის ლაგუნურ-კონტინენტურ ნალექებთან არის დაკავშირებული მცირე წნევიანი ჰიდროკარბონატულ კალციუმიანი წყლების გამოვლინებები.

უშუალოდ საკვლევ უბანზე ზედაპირული წყლების მუდმივი წყალსადინარი არ არის. ზედაპირული წყლები მხოლოდ წვიმისა და თოვლის დნობის დროს ყალიბდება დროებითი ნაკადების სახით და ფართობულ ხასიათს ატარებს.

V. საინჟინრო გეოლოგიური პირობები

ტერიტორია საინჟინრო გეოლოგიური თვალსაზრისით, ზოგადად კარგად შესწავლილია. არსებობს 600 000 მასშტაბის საქართველოს ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური, გეოტექტონიკური, ჰიდროგეოლოგიური დარაიონების რუკები და განმარტებითი ბარათები.

სხვადასხვა დროს საჭიროების შესაბამისად, სხვადასხვა მასშტაბის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევებია ჩატარებული, მაგრამ არსებული მასალები საკმარისი არ არის მშენებლობისათვის გამოყოფილ ცალკეული უბნების საინჟინრო-გეოლოგიური პირობების დასახასიათებლად. კვლევები აუცილებელია, რადგან არსებული მასალა ვერ უზრუველყოფს დეტალურობის საჭირო ხარისხს.

საკვლევი უბანი მდებარეობს ქალაქ თბილისში, სოფელი დიღომი, ს.კ. 01.72.14.040.179; ს.კ. 01.72.14.004.178;

საკვლევი უბნის საზღვრებია:

- ოთხივე მხრიდან ესაზღვრება – ცარიელი მიწის ნაკვეთები;

გამოკვლეული უბანი გეომორფოლოგიური თვალსაზრისით მდებარეობს მდ. მტკვრის მარჯვენანაპირეთში, დიღმის ვაკის ცენტრალურ ნაწილში, ე.წ. "დიღმის ველზე", რომელიც მორფომეტრიული განვითარების ნიშნის მიხედვით განეკუთვნება აკუმულაციურ - დენუდაციურ ტიპს. ვაკე სამი მხრიდან: სამხრეთიდან, დასავლეთიდან და ჩრდილოეთიდან შემოსაზღვრულია დაბალი მთიანეთით და შესამჩნევად არის დახრილი მდ. მტკვრისაკენ. ის აღმოსავლეთის მიმართულებით თანდათან ფართოვდება და 4.0 - 5.0 კმ - ს აღწევს, ხოლო მისი სიგრძე კი 6.0 - 6.5 კმ - ია. სამშენებლო უბნის აბსოლუტური ნიშნულები 569.5 - დან 577.5 მ. – მდე იცვლება.

საკვლევ უბანი გაუნაშენებელია და დაფარულია წინა წლებში სამშენებლო მასალებითა და სხვადასხვა ქვაბულიდან მოხსნილი ნაყარი გრუნტის ფენით.

პ.ნ 01.05-08-ის (“სამშენებლო კლიმატოლოგია”) თანახმად, საკვლევი უბნის ძირითადი კლიმატური მახასიათებლები შემდეგია:

- წლის საშუალო ტემპერატურა - $+12.6^0C$;
- ტემპერატურის აბსოლიტური მინიმუმი - -24.0^0C;
- ტემპერატურის აბსოლიტური მაქსიმუმი - $+40.0^0C$;
- ნალექების რაოდენობა წელიწადში - 560.0 მმ;
- ქარის უდიდესი სიჩქარე 20 წელიწადში ერთხელ - 37.0 მ/წ;
- ქარის წნევის ნორმატიული მნიშვნელობა 5 წელიწადში ერთხელ - 0.73 კპა; 15 წელიწადში ერთხელ - 0.85 კპა;
- ქარის გაბატონებული მიმართულება - ჩრდილო-დასავლეთის;
- თოვლის საფარის წონა - 0.50 კპა;
- თოვლის საფარის დღეთა რიცხვი - 14;
- გრუნტის სეზონური გამყინვარების ნორმატიული სიღრმე - 0 სმ.

ჩატარებული საველე სამუშაოების მიხედვით შედგენილია გეოლოგიური გამონამუშევრების სვეტების და საკვლევი უბნის განივი და გრძივი ლითოლოგიურ-გეოლოგიური ჭრილები.

როგორც წარმოდგენილი ჭრილებიდან ჩანს, მიწის ზედაპირიდან 1.80-2.50 მეტრის სიღრმიდან, 7.00-8.00 მეტრის სიღრმემდე, გავრცელებულია დელუვიური ნალექებით (dpQ_{IV}) - ყავისფერი, მყარი კონსისტენციის, წვრილი ხვინჭის 15-20%-მდე ჩანართებიანი თიხნარებით, თიხის შუაშრეებით (ფენა 2). Xოლო, მიწის ზედაპირიდან 7.00-8.00 მეტრის სიღრმიდან, გამოკვლეულ 12.00 მეტრის სიღრმემდე, გავრცელებულია დელუვიური ნალექებით (dpQ_{IV}) - ღია ყავისფერი, ნახევრად მყარი კონსისტენციის, ღორღისა და ხვინჭის ჩანართებიანი 35 %-მდე, თიხნარები. (ფენა 3).

ზემოთაღწერილი ნალექები ზემოდან გადაფარულია 1.80-2.50 მეტრის სიმძლავრის ნაყარი გრუნტის ფენით tQIV- გავრცელებულია მთელ ტერიტორიაზე პირველი ფენის სახით. წარმოდგენილია კოშტოვანი სტრუქტურის თიხნარით, ბალახეული მცენარეების ფესვების ჩანართებით. ფენა არ დასინჯულა. ფენის სიმკვრივე ρ საფონდო მასალების მიხედვით 1,75 ტ/მ^3. ფენა უწყლოა. (ფენა 1)

გრუნტის წყლების ფორმირება, მოძრაობა და გავრცელება განისაზღვრება დიღმის დეპრესიის გეომორფოლოგიური პირობებით და გეოლოგიური აგებულებით. კვების არე დაკავშირებულია დეპრესიის დასავლეთით მდებარე დაბალმთიანეთთან, აკუმულაციის ზონა – დიღმის ვაკესთან, ხოლო განტვირთვის არე – მდ. მტკვრის მარჯვენანაპირეთის გასწვრივ მდებარე ტერასულ ვაკესთან. უბანზე ჩვენს მიერ გაყვანილ ჭაბუღილებში წყალი არ დაფიქსირებულა. (ოქტომბერი, 2025 წელი).

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ფენა 2-ის თიხნაროვანი, მყარი კონსისტენციის გრუნტიდან, ლაბორატორიული შესწავლისათვის აღებული იქნა გრუნტის დაურღვეველი სტრუქტურის 3 ნიმუში, რომელზედაც განსაზღვრული იქნა თიხნაროვანი გრუნტის ფიზიკური თვისებები და რომლის კვლევის შედეგები თან ერთვის წინამდებარე დასკვნას ლაბორატორიული კვლევების შედეგების კრებსითი ცხრილის სახით.

ქვემოთ, ცხრილ 1-ში, კრებსითი ცხრილიდან ამოკრეფილია თიხოვანი გრუნტის (ფენა 2) ფიზიკური მახასიათებლების ცვალებადობის დიაპაზონი და მათი საშუალო (ნორმატიული) მნიშვნელობები.

ცხრილი 1

№	ფიზიკური მახასიათებლები			განზ.	მიღებულ სიდიდეთა დიაპაზონი	საშუალო (ნორმატიული) მნიშვნელობა
1.	პლასტიკურობის რიცხვი		I_p	-	0.12-0.13	0.13
2.	ტენიანობა		W	%	11.5-16.6	13.5
3.	სიმკვრივ	გრუნტის	ρ	გ/სმ³	2.00-2.11	2.09
		მშრალი გრუნტის	ρ_d		1.72-1.89	1.80
		გრუნტის ნაწილაკების	ρ_s		2.71	2.71
4.	ფორიანობა		ნ	%	30-36	33.3
5.	ფორიანობის კოეფიციენტი		e	-	0.434-0.576	0.508
6.	დენადობის მაჩვენებელი		I_L	-	<0	<0
7.	ტენიანობის ხარისხი		S_r	-	0.65-0.78	0.72

ცხრილის თანახმად ფენა 2-ის თიხოვანი გრუნტი პლასტიკურობის რიცხვის ($\bar{I}_P = 0{,}13$) მიხედვით თიხნარია, მყარი კონსისტენციის ($\bar{I}_L =< 0$) კონსისტენციის.

ტენიანობა $W = 11.5 - 16.6\% (\bar{W} = 13.5\%)$ ფარგლებში მერყეობს, ფორიანობა კი $n = 30 - 36\% (\bar{n} = 33.3\%)$ ფარგლებში, ფორიანობის კოეფიციენტის $\bar{e} = 0.508$ მნიშვნელობის დროს.

ტენიანობის ხარისხის მნიშვნელობა ნაკლებია კრიტერიუმ 0.80-ზე ($S_r = 0.72$), რაც იმის მაჩვენებელია რომ გრუნტის ფორები ნაწილობრივ შევსებულია წყლით.

ცხრილში მოცემული ფიზიკური მახასიათებლების საშუალო მნიშვნელობები, საჭიროებისას, შეიძლება გამოყენებული იქნას როგორც ნორმატიული (საანგარიშო

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ფენა 3-ის თიხნაროვანი, ნახევრად-მყარი კონსისტენციის გრუნტიდან, ლაბორატორიული შესწავლისათვის აღებული იქნა გრუნტის დაურღვეველი სტრუქტურის 2 ნიმუში, რომელზედაც განსაზღვრული იქნა თიხნაროვანი გრუნტის ფიზიკური თვისებები და რომლის კვლევის შედეგები თან ერთვის წინამდებარე დასკვნას ლაბორატორიული კვლევების შედეგების კრებსითი ცხრილის სახით.

ქვემოთ, ცხრილ 1-ში, კრებსითი ცხრილიდან ამოკრეფილია თიხოვანი გრუნტის (ფენა 3) ფიზიკური მახასიათებლების ცვალებადობის დიაპაზონი და მათი საშუალო (ნორმატიული) მნიშვნელობები.

ცხრილი 1

№	ფიზიკური მახასიათებლები			განზ.	მიღებულ სიდიდეთა დიაპაზონი	საშუალო (ნორმატიული) მნიშვნელობა
1.	პლასტიკურობის რიცხვი		I_p	-	0.09-0.09	0.09
2.	ტენიანობა		W	%	17.2-16.8	17.0
3.	სიმკვრივე	გრუნტის	ρ	გ/სმ³	2.09-2.12	2.10
		მშრალი გრუნტის	ρ_d		1.78-1.81	1.80
		გრუნტის ნაწილაკების	ρ_s		2.70	2.70
4.	ფორიანობა		ნ	%	32.0-38.0	34.0
5.	ფორიანობის კოეფიციენტი		e	-	0.510-0.410	0.460
6.	დენადობის მაჩვენებელი		I_L	-	0.09-0.06	0.05
7.	ტენიანობის ხარისხი		S_r	-	0.65-0.78	0.72

ცხრილის თანახმად ფენა 3-ის თიხოვანი გრუნტი პლასტიკურობის რიცხვის ($\bar{I}_P = 0{,}09$) მიხედვით თიხნარია, ნახევრად-მყარი კონსისტენციის ($\bar{I}_L = 0.05$) კონსისტენციის.

ტენიანობა $W = 17.2 - 16.8\%(\bar{W} = 17.0\%)$ ფარგლებში მერყეობს, ფორიანობა კი $n = 32 - 38\%(\bar{n} = 34.0\%)$ ფარგლებში, ფორიანობის კოეფიციენტის $\bar{e} = 0.460$ მნიშვნელობის დროს.

დასკვნები და რეკომენდაციები

ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება გაკეთდეს შემდეგი დასკვნები:

1. საინჟინრო გეოლოგიური თვალსაზრისით და საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით ს.ნ და ₹ 02.07-87-ის მე-10 სავალდებულო დანართის თანახმად, გამოკვლეული უბანი მიეკუთვნება II კატეგორიას – საშუალო სირთულის. მიუხედავად იმისა, რომ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ 2019 წელს გამოცემული "ქ. თბილისის ტერიტორიის საინჟინრო-გეოდინამიკური პირობები და გეოლოგიური საფრთხეების შეფასება"-ს მიხედვით ტერიტორია ხვდება მაღალი რისკის ზონაში, დასაპროექტებელი შენობის მშენებლობისთვის გამოყოფილი სამშენებლო უბანი დაშორებულია 70 მეტრის მანძილზე განვითარებული მეწყრული პროცესებიდან. უარყოფითი ფაქტორები არ განვითარდება არსებულ საკვლევ ტერიტორიაზე რადგან, მიმართულება მეწყრული პროცესების არის აღმოსავლეთისკენ და არა საკვლევი ტერიტორიის მიმართულებით. გარდა ამისა მაღალი რისკისა და ზონიდან და მეორე მეწყრული პროცესებისგან დაშორებულია 250-300 მეტრ მანძილზე. ასე რომ, გამოკვლეული ტერიტორია წარმოადგენს მეწყერის წყალგამყოფს, ნახსენებ წყალგამყოფზე არ არის განვითარებული მეწყრული მოვლენები. ხოლო საკვლევი ტერიტორიის, როგორც ჩრდილოეთის ასევე სამხრეთის მხრიდან უნდა დატერასდეს და მოეწყოს სამაგრი კედელი. გარდა ამისა აუცილებელ პირობად მიგვაჩნია ჩრდილოეთის მხრიდან მოეწყოს წყალამრიდი ღონისძიებები. ამრიგად,

საკვლევი ტერიტორია მდგრადია და “დამაკმაყოფილებელ” პირობებში იმყოფება.

2. სამშენებლო თვისებების მიხედვით, სამშენებლო მოედანზე გავრცელებულ გრუნტებში შეიძლება გამოვყოთ ორი საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი (სგე).

I ს.გ.ე –მყარი კონსისტენციის თიხნარები (ფენა 2);

II ს.გ.ე –ნახევრად-მყარი კონსისტენციის თიხნარები (ფენა 3);

3. დასაპროექტებელი სკოლის პროქტის მშენებლობისთვის ტექნიკური მახასიათებლებიდან და სამშენებლო მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური აგებულებიდან გამომდინარე ფუძე გრუნტებად მიღებული უნდა იქნეს I ან II საინჟინრო გეოლოგიური ელემენტის (ფენა 2, ფენა 3) თიხნარები.

საძირკვლის ტიპად მიღებული იქნეს ტექნიკური დავალებით გათვალისწინებული საძირკვლები-ფილა ან წერტილოვანი (ცალკემდგომი).

4. დასაპროექტებელი სკოლის პროექტის მოწყობა (მშენებლობა და ექსპლუატაცია) მომავალში არ გამოიწვევს რაიმე სახის უარყოფით ლოკალურ ფიზიკო-გეოლოგიური პროცესების (ლოკალური მეწყერი, ჩაქცევები და სხვა) განვითარებას და არ საჭიროებს, გარდა ზემოდ აღნიშნულისა, დამატებითი საინჟინრო-გეოლოგიური ღონისძიებების გატარებას.

5. ქვემოთ ცხრილ №3-ში მოცემულია საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტის გრუნტის აუცილებელი საანგარიშო ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლები, მიღებული ლაბორატორიული გამოკვლევების, პნ 02.01-08, საარქივო მასალების და აგრეთვე საცნობარო ლიტერატურის (დამპროექტებლის საანგარიშო თეორიული ცნობარი) საფუძველზე.

ცხრილი 3

№ №	გრუნტის მახასიათებლები	I სგე (ფენა 2)	II სგე (ფენა 3)
1.	სიმკვრივე ρ- გ/სმ^3;	2.09	2.10
2.	ხვედრითი შეჭიდულობა Cკპა(კგძ/სმ^2)	32 (0.32)	40 (0.40)
3.	შინაგანი ხახუნის კუთხე φ^0	21.5	25.5
4.	დეფორმაციის მოდული Eმპა(კგძ/სმ^2)	28 (280)	31 (310)
5.	პირობითი საანგარიშო წინაღობა R_0-კპა (კგძ/სმ^2);	220 (2.2)	240 (2.4)
6.	საგების კოეფიციენტი K-კგ/სმ^3	2.0	2.0
7.	პუასონის კოეფიციენტი μ	0.35	0.35

6. ჰიდროგეოლოგიური თვალსაზრისით სამშენებლო მოედანი გამოკვლეულ 12.00 მეტრის სიღრმემდე ხასიათდება გრუნტის წყლის არ არსებობით (ოქტომბერი, 2025). წვიმების და თოვლის დნობის დროს ღრმა ჩაჭრების შემთხვევაში ფერდის დახრის გამო, მოეწყოს დრენაჟები. ასევე მიწისქვეშა სართულის კედლების ზედაპირული წყლებიდან დასველების თავიდან აცილების მიზნით მიზანშეწონილად მიგვაჩნია პროექტით გათვალისწინებულ იქნეს წყალამრიდი სამუშაოების ჩატარება და მოხდეს ჩრდილოეთის მხრიდან ჰიდროიზოლაცია.

7. მომავალში, ჩრდილოეთის მხრიდან ფერდის დიდი სიმძლავრის მოჭრის შემთხვევაში, გამოკვლეულ სამშენებლო უბანზე ლოკალური უარყოფითი ფიზიკურ-გეოლოგიური პროცესების (ჩამოშვავება, მცირე მეწყერული პროცესები და სხვა) თავიდან აცილების მიზნით მიზანშეწონილად მიგვაჩნია სამშენებლო მოედნის ჩრდილოეთ ნაწილში პროექტით გათვალისწინებული იქნეს სამაგრი კედლის მოწყობა, რისთვისაც

ბეტონის გრუნტზე ხახუნის კოეფიციენტი მიღებული იქნეს $f_n = 0.55$-ის ტოლი.

8. პნ 01.01-09-ის "სეისმომედეგი მშენებლობა" თანახმად, ქ. თბილისი მდებარეობს 8 ბალიან სეისმურობის ზონაში. ამავე ნორმატიული დოკუმენტის ცხრილი 1-ის თანახმად, საკვლევ უბანზე გავრცელებული გრუნტები სეისმური თვისებების მიხედვით მიეკუთვნებიან - II კატეგორიას.

სამშენებლო მოედნის სეისმურობად მიღებული იქნეს 8 ბალი, ხოლო სეისმურობის უგანზომილებო კოეფიციენტი $A = 0.17$-ის ტოლ.

9. ქვაბულის ფერდოების მაქსიმალური დასაშვები დახრა, მიღებული იქნეს ს.ნ და წ 3.02.01-87 პ.პ.3.11; 3.12; 3.15 და ს.ნ და წ III -4-80 მე-9 თავის მიხედვით.

10. დამუშავების სიძნელის მიხედვით, უბანზე გავრცელებული გრუნტები ს.ნ და წ IV-2-82 I-I ცხრილის თანახმად, მიეკუთვნებიან:

ა) ა) ტექნოგენური გრუნტი, ნაყარი (ფენა 1) – სამივე სახეობით დამუშავებისას (ერთციცხვიანი ექსკავატორით, ბულდოზერით და ხელით) - II ჯგუფს, საშუალო სიმკვრივით - 1800 კგ/მ^3 (რ№9ა).

ბ) თიხნარები (ფენა 2) – ყველა სახით დამუშავებისას – II ჯგუფს, სიმკვრივით 1910 კგ/მ^3 (რიგ. № 33ბ);

გ) თიხნარები (ფენა 2) – ყველა სახით დამუშავებისას – II ჯგუფს, სიმკვრივით 1910 კგ/მ^3 (რიგ. № 33ბ);

ინჟინერ-გეოლოგი ზ. დევდარიანი



ფოტო-მასალა




078-BB
Oct 23, 2025 10:14:12


Oct 23, 2025 09:27:47


78-BB
Oct 23, 2025 10:01:22


Oct 23, 2025 10:13:55


Oct 23, 2025 09:27:34






BS-078-BB


078-BB


5ጋ8.4
8.0ዘ
5ጋ8.1
10.0ዘ
5ጋ8.3
7.0ዘ
5ጋ8.1
5.0ዘ

ᲑᲠᲣᲜᲢᲔᲑᲘᲡ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲗᲕᲘᲡᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲚᲐᲑᲝᲠᲐᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲙᲕᲚᲔᲕᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ

ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲐ: ᲑᲠᲣᲜᲢᲔᲑᲘᲡ ᲙᲚᲐᲡᲘᲤᲘᲙᲐᲪᲘᲐ ГОСТ-5180-84-ᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ

ობიექტის დასახელება	რიგითი ნომერი	ჭაბურღილის ნომერი	ნიმუშის საველე ნომერი	ნიმუშის აღების სიღრმე, მ.	ნიმუშის სახე	ნიმუშის laბორატორიული ნომერი	ნიმუშის დასახელება ნიმუნკლაზტურის მიხედვით	ფიზიკური თვისებები													
								პლასტიკურობა			სიმკვრივე გ/სმ³										
								დენადობის ზღვარი, W_L	პლასტიკურობის ზღვარი, W_P	პლასტიკურობის რიცხვი, I_P, %	მიწერილური ნაწილაკების სიმკვრივე ρ_s	ბუნებრივი მდგომარეობის გრუნტის, ρ	ჩონჩხის სიმკვრივე ρ_d	ტენიანობა, W	ფორიანობა, n	ფორიანობის კოეფიციენტი, e	სრული ტენტევადობა, Wsaf	ტენიანობის ხარისხი, Sr	დენადობის მაჩვენებელი, I_L	მაჩვენებელი, Iss	შენიშვნა
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22
ქ. თბილისი სოფ. დიღომი ს/კ 01.72.14.040.179. ს/კ 01.72.14.004.178 სკოლის პროექტი	1	ჭაბ.№1	1	5,0	მონ.	547	თიხნარი	0,35	0,22	13	2,71	2,00	1,72	0,166	0,36	0,576	0,21	0,78	<0	0,24	
	2	ჭაბ.№2	1	3,0	მონ.	548	თიხნარი	0,36	0,23	13	2,71	2,01	1,79	0,123	0,34	0,514	0,19	0,65	<0	0,30	
	3	ჭაბ.№3	1	7,0	მონ.	549	თიხნარი	0,34	0,22	12	2,71	2,11	1,89	0,115	0,30	0,434	0,16	0,72	<0	0,34	

ლაბორატორიის უფროსი: /ნ. ხმელიძე/

შესრულების თარიღი 25.10.2025-30.10.2025

Natalia Khmelidze 01027050329
Digitally signed by Natalia Khmelidze
Date: 2025.10.30 16:57:32

GEOLOGICAL SERVICE

შპს გეოლოგიური სამსახურის გეოტექნიკური ლაბორატორია
Geological Service LTD Geotechnical Laboratory

სამუშაოს ანგარიში

შესრულებულია ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში
არსებულ მიწის ნაკვეთზე, ს/კ 01.72.14.004.178., 01.72.14.040.179.,
სკოლის პროექტის შედგენის მიზნით ამოღებული გრუნტის სინჯების
ლაბორატორიული კვლევის საფუძველზე

შპს გეოლოგიური სამსახურის გეოტექნიკური
ლაბორატორიის ხელმძღვანელი, გეოლოგიის
აკადემიური დოქტორი **ნინო სადრაძე**

Nino Sadradze 01008013855
Digitally signed by Nino Sadradze
Date: 2025.10.29 17:12:46

თბილისი 2025 წ

გამოყენებული სტანდარტი

1. ГОСТ 5180-84 გრუნტების ფიზიკური მახასიათებლების განსაზღვრის ლაბორატორიული მეთოდები;
2. ГОСТ 12248-78 გრუნტების ძვრაზე წინაღობის ლაბორატორიულ პირობებში დადგენის მეთოდები;
3. СНиП 2.02.01-83 ფუძე-საძირკვლები;
4. ГОСТ 25100-95 გრუნტების კლასიფიკაცია.

ანგარიშში წარმოდგენილია ორი დისპერსული გრუნტის სინჯის ლაბორატორიული კვლევის შედეგები. შეიცავს 5 გვერდს. 5 ცხრილს და 2 ნახაზს.

სინჯების წარმომავლობაზე ანგარიშის შემდგენელი პასუხს არ აგებს.

Nino Sadradze 01008013855
Digitally signed by Nino Sadradze
Date: 2025.10.29 17:13:04

ცხრილი 1-გრუნტის თვისებათა მახასიათებლების საშუალო მნიშვნელობები

სინჯის №	ჭაბურღილის №	სიღრმე, მ H	ტენიანობა ბუნებრივი,% W	ტენიანობა დენადობის ზღვარზე % WL	ტენიანობა პლასტიკურობის ზღვარზე % WP	პლასტიკურობის რიცხვი IP	დენადობის მაჩვენებელი IL	სიმკვრივე ბუნებრივი, გ/სმ³ ρ	სიმკვრივე ჩონჩხის, გ/სმ³ ρd	სიმკვრივე მინერალური ნაწილაკების, გ/სმ³ ρs
1	1	10.0	17.25	25.68	16.37	9.31	0.09	2.09	1.78	2.70
2	4	8.0	16.82	25.34	16.26	9.08	0.06	2.12	1.81	2.70

ცხრილი 1-ის დასასრული

სინჯის №	შიგა ხახუნის კუთხე, გრადუსი φ	შეჭიდულობა, კგძ/სმ² C	ფორიანობის კოეფიციენტი e	სრული ტენტევადობა Ss	გრუნტის სახეობა
1	25.5	0.398	0.51	0.19	თიხნარი ნახევრად-მყარი, შეკავშირებული, ღია მოყავისფრო.
2	26.0	0.421	0.49	0.18	

Nino Sadradze 01008013855
Digitally signed by Nino Sadradze
Date: 2025.10.29 17:13:21

ცხრილი 2- ტენიანობა ბუნებრივი, დენადობის და პლასტიკურობის ზღვარზე

სინჯის №	გამოცდილი ნიმუშის						
	№	ბიუქსის			ტენიანობა		სახეობა
		№	მასა, გ				
			ცარიელის	ტენიანი ნიმუშით	გამომშრალი ნიმუშით	%	
1	1	18	22.64	45.20	41.88	17.25	ბუნებრივი
	2	117	22.80	45.19	41.90	17.24	
2	1	97	22.37	44.46	41.28	16.81	
	2	155	22.30	44.49	41.29	16.83	
1	1	179	22.59	46.43	41.56	25.68	დენადობის ზღვარზე
	2	199	22.00	46.59	41.57	25.67	
2	1	152	23.30	45.30	40.85	25.33	
	2	45	22.00	45.64	40.86	25.35	
1	1	144	22.50	44.13	41.09	16.37	პლასტიკურობის ზღვარზე
	2	72	20.65	44.42	41.08	16.36	
2	1	61	22.51	44.13	41.11	16.25	
	2	195	22.42	44.16	41.12	16.27	

ცხრილი 3- სიმკვრივე გამომშრალი და ბუნებრივი მდგომარეობის

სინჯის №	ნიმუშის №	ჭურჭლის (რგოლის) მასა, გ	ჭურჭლის (რგოლის) მასა ნიმუშით, გ	ჭურჭლის (რგოლის) მოცულობა სმ³	სიმკვრივე ბუნებრივი, გ/სმ³		სიმკვრივე გამომშრალი გ/სმ³
					ნიმუშების მიხედვით	საშუალო	
1	1	41	139.7	47	2.10	2.09	1.78
	2	42	137.7	46	2.08		
2	1	42	137.4	45	2.12	2.12	1.81
	2	43	142.2	47	2.11		

ცხრილი 4- ნაწილაკების სიმკვრივე

სინჯის №	გამოცდილი ნიმუშის							
	№	პიკნომეტრის				მასა, გ	მოცულობა სმ³	ნაწილაკების სიმკვრივე, გ/სმ³
		№	მასა, გ					
			ცარიელის	გამოხდილი წყლით	გამოხდილი წყლით და ნიმუშით			
1	1	8	25.05	126.0	134.1	13	4.83	2.69
	2	15	26.52	133.0	141.2	14	5.16	2.71
2	1	6	27.26	125.4	134.2	14	5.18	2.70
	2	3	28.28	122.2	131.0	14	5.20	2.69

Nino Sadradze 01008013855
Digitally signed by Nino Sadradze
Date: 2025.10.29 17:13:40

ცხრილი 5- ძვრაზე გამოცდის შედეგები

სინჯის №	გამოც-დილი ნიმუშის №	ნორმალური წნევა ნიმუშზე, კგძ/სმ²	ბუნებრივ მდგომარეობაში		
			მხები, პიკური ძაბვა, კგძ/სმ²	შინაგანი ხახუნის კუთხე, გრადუსი	შეჭიდულობა, კგძ/სმ²
1	1	1	1.118	25.5	0.398
	2	2	1.836		
	3	3	2.604		
2	1	1	1.173	26.0	0.421
	2	2	1.909		
	3	3	2.646		



ნახ. 1- სინჯი 1, მხებ პიკურ ძაბვებსა და ნორმალურ ძაბვებს შორის დამოკიდებულების გრაფიკი



ნახ. 2- სინჯი 2, მხებ პიკურ ძაბვებსა და ნორმალურ ძაბვებს შორის დამოკიდებულების გრაფიკი

Nino Sadradze 01008013855
Digitally signed by Nino Sadradze
Date: 2025.10.29 17:14:03



პირობითი აღნიშვნები

- ჭაბურღილი
- ჭრილი
- შენობის კონტური

ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, ს.კ. 01.72.14.040.179; ს.კ. 01.72.14.004.178 სკოლის შენობის პროექტი ჭაბურღილების განლაგება ტოპო-გეგმაზე			სტადია
			მ.პ.
თანამდებობა	ხელმოწერა	გვარი	შურცელი
გეოლოგი		ზ.დევდარიანი	1
			შურც. რაოდ.
			1
			მასშტაბი 1:500 მ.
			23-24.10.25

ჭაბურღილი №1

575.0 — თარიღი: 23.10.2025

სტრატიგრაფიული ინდ	ფენის №	სიღრმე, მ დან	სიღრმე, მ მდე	ფენის სიმძლავრე, მ	ფენის ძირის აბს. ნიშნული მ	ჭრილი	კონსისტენცია	მიწისქვეშა წყლის დონე,მ / გაზომვის თარიღი: გამოვლ.	დამყარ.
tQ_{IV}	1	0.0	2.5	2.5	572.5				
dpQ_{IV}	2	2.5	8.0	5.5	567.0				
dpQ_{IV}	3	8.0	12.0	4.0	563.0				

ჭაბურღილი №2

571.5 — თარიღი: 23.10.2025

სტრატიგრაფიული ინდ	ფენის №	სიღრმე, მ დან	სიღრმე, მ მდე	ფენის სიმძლავრე, მ	ფენის ძირის აბს. ნიშნული მ	ჭრილი	კონსისტენცია	მიწისქვეშა წყლის დონე,მ / გაზომვის თარიღი: გამოვლ.	დამყარ.
tQ_{IV}	1	0.0	2.0	2.0	569.5				
dpQ_{IV}	2	2.0	7.0	5.0	564.5				
dpQ_{IV}	3	7.0	12.0	5.0	559.5				

პირობითი აღნიშვნები

1 ნაყარი გრუნტი

2 თიხნარი, მყარი კონსისტენციის, ხვინჭის ჩანართებით

3 თიხნარი, ნახევრადმყარი კონსისტენციის, ღორღისა და ხვინჭის ჩანართებით

■ ნიმუშის აღების ადგილი

ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, ს.კ. 01.72.14.040.179; ს.კ. 01.72.14.004.178 სკოლის პროექტი გეოლოგიურ-ლითოლოგიური ჭრილი			სტადია: მ.პ.
თანამდებობა	ხელმოწერა	გვარი	ფურცელი
გეოლოგი		ზ.დემდარიანი	1
			ფურც.რაოდ. 5
			მასშტაბი 1:100 მ.

ჭაბურღილი №3

570.0

თარიღი: 23.10.2025

სტრატიგრაფიული ინდ.	ფენის №	სიღრმე, მ		ფენის სიმძლავრე მ	ფენის ძირის აბს. ნიშნული მ	ჭრილი	კონსისტენცია	მიწისქვეშა წყლის დონე,მ	
		დან	მდე					გახრეშის თარიღი	
								გამოვიდა	დამყარ.
tQIV	1	0.0	2.0	2.0	568.0				
dpQIV	2	2.0	7.0	5.0	563.0				
dpQIV	3	7.0	12.0	5.0	558.0				

ჭაბურღილი №4

572.8

თარიღი: 24.10.2025

სტრატიგრაფიული ინდ.	ფენის №	სიღრმე, მ		ფენის სიმძლავრე მ	ფენის ძირის აბს. ნიშნული მ	ჭრილი	კონსისტენცია	მიწისქვეშა წყლის დონე,მ	
		დან	მდე					გახრეშის თარიღი	
								გამოვიდა	დამყარ.
tQIV	1	0.0	1.8	1.8	571.0				
dpQIV	2	1.8	8.0	6.2	564.8				
dpQIV	3	8.0	12.0	4.0	560.8				

პირობითი აღნიშვნები

1 ნაყარი ბრუნტი

2 თიხნარი, მქარე კონსისტენციის, ხვინჭის ჩანართებით

3 თიხნარი, ნახევრადმქარე კონსისტენციის, დერგზედა და ხვინჭის ჩანართებით

ნიმუშის აღების ადგილი

ქალაქი თბილისი, ხოფლის დღეიდან, ს.კ. 01.72.14.040.179; ს.კ. 01.72.14.004.178 საკრედის პროექტი		სტადია
ტექნოლოგიურ-ლითოლოგიური ჭრილი		მ.ვ.
თანამდებობა	ხელმოწერა	სახელი	ფურცელი
ავტორები		ს.ფეფილაშვილი	2
			ფურცლების
			5
			მასშტაბი
			1:100 მ.

ჭრილი I - I′

მასშტაბი: ვერტიკ- 1:100მ.
ჰორიზ- 1:200მ.

ჩდ → სა



ჭაბურღილის №	1	2
აბს. ნიშნული	575.0	571.5
მანძილი, მ	40.0	

პირობითი აღნიშვნები

1 ნაყარი გრუნტი

2 თიხნარი, მყარი კონსისტენციის, ხვინჭის ჩანართებით

3 თიხნარი, ნახევრადმყარი კონსისტენციის, ღორღისა და ხვინჭის ჩანართებით

ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, ს.კ. 01.72.14.040.179; ს.კ. 01.72.14.004.178 სკოლის პროექტი საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილები		სტადია მ.პ.
თანამდებობა	ხელმოწერა გვარი	ფურცელი
გეოლოგი	ზ.დევდარიანი	3
		ფურც.რაოდ. 5
		მასშტაბი 1:100 მ. 1:200 მ.

ჭრილი II - II′

მასშტაბი: ვერტიკ- 1:100მ.
ჰორიზ- 1:200მ.

სდ → ჩა



ჭაბურღილის №	2		4	
აბს. ნიშნული	571.5	569.8	572.8	
მანძილი, მ		18.0	20.0	

პირობითი აღნიშვნები

1 ნაყარი გრუნტი

2 თიხნარი, მყარი კონსისტენციის, ხვინჭის ჩანართებით

3 თიხნარი, ნახევრადმყარი კონსისტენციის, ღორღისა და ხვინჭის ჩანართებით

ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, ს.კ. 01.72.14.040.179; ს.კ. 01.72.14.004.178 სკოლის პროექტი საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილები			სტადია მ.პ.
თანამდებობა	ხელმოწერა	გვარი	ფურცელი
გეოლოგი		ზ.დევდარიანი	4
			ფურც.რაოდ. 5
			მასშტაბი 1:100 მ. 1:200 მ.

ჭრილი III - III′

მასშტაბი: 1:100მ.

სდ → ჩა



ჭაბურღილის №	2		3
აბს. ნიშნული	571.5		570.0
მანძილი, მ		28.0	

პირობითი აღნიშვნები

1 ნაყარი გრუნტი

2 თიხნარი, მყარი კონსისტენციის, ხვინჭის ჩანართებით

3 თიხნარი, ნახევრადმყარი კონსისტენციის, ღორღისა და ხვინჭის ჩანართებით

ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, ს.კ. 01.72.14.040.179; ს.კ. 01.72.14.004.178 სკოლის პროექტი საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილები			სტადია
			მ.პ.
